

მოთხრობის

გმირები

სცენაზე



როზაული ნაწარმოების გმირებს. თუ შეიძლება ითქვას, მეტი „გეოგრაფიული თავისუფლება“ აქვთ მინიჭებული ავტორის მიერ. ამ თავისუფალი მოქმედების უფლებას ავტორი ანგარიშს უწევს და გმირს ნებას აძლევს საითაც უნდა წავიდეს, ხშირხმირად შეიცვალოს მოქმედების ადგილი და გარემო, იფიქროს „ხმის ამოუღებლად“... დრამატული ნაწარმოების გმირთა სამოქმედო არე კი უფრო ვიწროა და შეზღუდული. პროზიდან დრამაში გადასული გმირი „ჰაერს იცვლის“ და მთებისა და ველების, გრძელი, შორეული გზების გავლისა და ერთი დროდან მეორეში გადასვლის შემდეგ პირობითად შემოფარგლულ სცენურ გარემოში ექცევა, უჭირს შეჩვევა და ხშირად ვერც ეჩვევა ახალ სცენურ ცხოვრებას, სპექტაკლი სტატიური გამოდის და კეთილი განზრახვა ავტორისა მიუღწევლად ცდად რჩება.

პროზაული ნაწარმოების სასცენო ენით ამეტყველებას სხვა დაბრკოლებებიც ეღობება წინ: პიესის კომპოზიციური მხარე მეტ სიმკაცრესა და სიუჟეტურ დაძაბულობას, რიტმულ გადასვლებს, იდეურ და სიუჟეტ-